ცნობის ფურცელი

№ 2475 პარასკევი, 23 აპრილი 1896—1904 ყოველ-დღიური გამოცემა № 2475

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

20 აპრილიდან ტფილისის ხელის მომწერთ ურიგდებათ დღისით მოსული დეპეშები

ოლღა სტანისლავის ასული ფითოევისა და მარგარიტა ისაიას ასული ბელენკისა აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გადაცვალებას პირველი საყვარლის ქმრისა, ხოლო მეორე მამის

ისაი იაგორის ძის ფითოევისას,

რომელიც 22 აპრილს გარდაიცვალა.

პანაშვიდები—პარასკევს, 23 და შაბათს—24 აპრილს საღამოს 7 საათზე. ცხედარს გამოასვენებენ კვირას, 25 აპრილს, დილის 10 საათზე საკუთარ სახლიდან მოლნინის წმ. გიორგის ეკკლესიაში და იქიდან ხოჯივანქის სასაფლაოზე. (3—170—1)

ნინო იაგორის ასული ტერ-მიკირტიჩიანცი, ალექსანდრე, კონსტანტინე და ივანე იაგორის ძენი ფითოევები შვილებითურთ აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ძვირფასის ძმის და ბიძის

ისაი იაგორის ძის ფითოევის

გადაცვალებას. (3—170—1)

სავაჭრო სახლის „ისაი იაგორიჩ ფითოევი და კო“ ამხანაგები მწუხარებით აცხადებენ, რომ დაუფასებელი ამხანაგი და სავაჭრო სახლის მეთაური

ისაი იაგორის ძე ფითოევი

გადაიცვალა. (3—170—1)

სავაჭრო სახლის „ისაი იაგორიჩ ფითოევ და კო“ მეთაურის

ისაი იაგორის ძე ფითოევის

გარდაცვალებისა გამო სავაჭრო სახლის უმთავრესი კონტორა ტფილისში ამ თვის 27 აპრილამდის, სამშაბათამდე, დაკეტილი იქმნება. (4—170—1)

რედაქცია კვლავ აცხადებს, რომ ვერავითარ მიწერ-მოწერას ვერ გამართავს კორესპონდენციების, წვრილ წერილებისა და ლექსების დაბეჭდვისა თუ დაუბეჭდველობის შესახებ, თუნდაც ავტორებს საპასუხო მარკები ჰქონდესთ გამოგზავნილი.

რედაქცია არ ინახავს კორესპონდენციებს, წვრილ წერილებსა და ლექსებს, თუნდაც ავტორებს ამის გამო წინდაწინვე სურვილი გამოეცხადებინოსთ რედაქციისათვის.

რედაქცია ინახავს მხოლოდ სამის თვის განმავლობაში დაუბეჭდავ სტატიებს, ბელეტრისტულ ნაწარმოებს (ორიგინალურს თუ თარგმანს) და სხვა მოზრდილ ხელნაწერს, რომელთაც უკან დაუბრუნებს ავტორთ მათისავე ხარჯით; სამის თვის შემდეგ-კი ამგვარი წერილებიც ისპობა. (რ.)

ამა წლის 2 მაისს „ტფილისის საკრებულოს“ (სობრანიეს)
საზაფხულო ბაღში, მიხეილის პროსპექტზე
„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“
სასარგებლოდ გაიმართება

სეირნობა

საქველმოქმედო ბაზრითურთ.

ბაღში სეირნობის დროს დაუკრავს ორი ხორო მუსიკისა, იმღერებს ქართული ხორო, გაიმართება საბავშვო გასართობი, კიოსკები, ბედის ქვევრი, ფოსტა, ცოცხალი სურათები.

ცეკვა

ყოველგვარი შემოწირულება მიიღება: ტფილისში, საზოგადოების კანცელარიაში (სასახლის ქუჩა, თავად-აზ. ქარვასლა) და კნ. ოლგა თად. ასულს ჭავჭავაძესთან (ელისაბედის ქუჩა, სახლი № 95.). (0—8)



ძმ. ნიკიტინების ცირკი.

პარასკევს, 23 აპრილს, სამი ჭიდაობა ერთ საღამოს· სხვათა შორის გასტროლი ცნობილ ზანგის **რანინისა**. კავკასიური ჭიდაობა: 1. **ცერაძისა** და სპარსელს **ახმეტ გარეევს** შორის. პრემია 25 მან. მე-2 სპარსული ჭიდაობა ცნობილ ფალავნებს **ერო ჰუსეინ-ასუბულა-ოღლისა** და **ბინიათ-ალმაზ-ოღლის** შორის. პრემია ვერცხლის საათი. მე-3 ჭიდაობა **რუსიშვილსა** და **ბოკორიანცს** შორის. პრემია 25 მან. გამარჯვებულს. ბოლოს გაიმართება პანტომიმა. დაწვრილებით პროგრამებში. დასაწყისი საღამოს $8^{1}/_{2}$ საათზე.

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის მანდილოსანთა კომიტეტმა

მოამზადა 25 აფიცრისა და 100 სალდათის საცვალი და ლოგინის მოწყობილება ბრძოლის ველზე არსებულ საავადმყოფოებისათვის.

ამ ნივთების დათვალიერება მსურველთ შეუძლიანთ ხუთშაბათს, 22, და პარასკევს, 23 აპრილს, დილის 10-დან ნაშუადღევის 5 საათამდე, კომიტეტის სახელოსნოში (გრიბოედოვის ქუჩა, სახლი თავ. ქობულიშვილისა). (2—6.—2)

ქუთაისში
კბილის ექიმი ნ. ა. დემიდოვი
(აბორინის შესახვევი, საკუთარი სახლი)
მიიღებს ყოველ დღე. პლომბის გაკეთება და კბილების ჩასმა. (30—140—7)

მკურნალი
მიხეილ გედევანიშვილი
იღებს ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათ. წამლობა ელექტრონით.
ყორღანოვის ქ., № 16, საკუთ. სახ., ტელ. 791.

ექიმი
ვ. ს. მუსხელიშვილი
მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 12—1 საათ. საღ. 6—7 ს. ყოველ დღე, გარდა სამშაბათისა. წყნეთის ქუჩა, № 24 სახლი ვაჩნაძისა.

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ა. ნ. დიასამიძე.—საშარდეს, ქირურგია, ვენერ. სიფილ. და კანისა 11 ს.—12-მდე.

მ. ტ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის. 10—11 საათ.

ა. გ. მაღალაშვილი.—ბავშვებისა და შინაგ. 10—11 საათამდე.

ვ. დ. ლამბაშიძე.—შინაგ. და ბავშვ. ორშაბ. ოთხშაბ. და პარასკ. 11—12. საათ.

არ. ვ. სოგოლევსკი.—ხირურგია და ორტოპეიდა: ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკევ. 1—3 საათამდე.

ვ. ა. ბეიერი.—შინაგანი და ბავშვებისა—1—2 საათ. ყოველ დღე.

მ. მ. მანსვეტოვ.—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების, კვირაობით 10—12.

ექ. ქალი მ. ქ. იოსელიანი.—ქალისა და საზებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

ლ. მ. მოლინი.—ქალისა, საზებიო და ბავშ. (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით 11—12 საათამდე.

ნ. ტყეშელაშვილი.—კბილისა, 9—11 საათამდე.

საღამოთი:

გ. ვ. სოგოლევსკი.—ხირურგია და ორტოპეიდა. სამშაბათ. და შაბათ. 5—6 ს.

ა. გ. მაღალაშვილი.—შინაგ., ბავშვ., ყვავილის აცრა და მიკროქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

სამკურნალოს აქვს ოცი მუდმივი საწოლი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები მორიგებით. კრავატები სამი მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. ილ.)ლის ქუჩიდან-კი 34 Б.
წამ(ხე ტელეფონი № 274.

ექიმი
ა. ნ. დიასამიძე
(კანისა და ვენერიული)
დილის 9—10 ს. საღამოს 7—9 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მიხეილის პროსპექტი № 123. (თვ.—0—38)

ქუთაისში
ექიმი გ. დ. ნასარიძე
მიიღებს შინაგანი და ნერვების სნეულებით ავადმყოფთ დილით 9—12-მდე საღამოთი 5—7 საათამდე ტფილისის ქუჩა, სახლი ანტიმარმაკლიძისა.

ქუთაისში
ექიმი ს. ი. ბებიშვილი
იღებს საზებიო, შინაგან და ვენერიული სნეულებით ავადმყოფებს დილის 9—12 საათამდე, და საღამოს 3—5 საათამდე. გენერალის ქუჩა, სახლი ბენიაჰინ ქურთოშვილისა.

კბილის ექიმი
ი. პ. ახალშენიშვილი
(ელისაბედის ქუჩა, № 38).
მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათამდე. საღამოობით 5—7-მდე, ხოლო კვირა-უქმეობით 9—1-მდე და საღამოობით 5—7-მდე.

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

22 აპრილი.

პეტერბურგი. უქვეშევრდომილესი დეპეშა მანჯურიის ჯარის უფროსის გენერალ-ადიუტანტის კუროპატკინისა, 21 აპრილს გამოგზავნილი: „გენერალი კაშტალინსკი მაცნობებს: ვალად ვრაცხ თავს გაუწყოთ გარემოებანი იმ მცხარე, მაგრამ სასახელო ბრძოლისა, რომელიც ჯარმა ჩემის უფროსობით გაუწია 18 აპრილს ტიურენჩენთან იაპონიის ბევრად უფრო ძლიერ ჯარს. 17 აპრილს, ჯერ ისევ დილითვე, იაპონელებმა იერიში მოიტანეს ჩემის ჯარის მარცხენა ფრთაზე, ამასთან წინა დღის ბრძოლაში დაიჭირეს კასანის სიმაღლეები. ამის გამო ვუბრძანე ბატალიონებს მე-22 პოლკისას, რომელსაც ხუსანი ეჭირა, დაწეულიყო და მდინარე აიხეთი პოტეტნძის პოზიციაზე გადასულიყო. ამავე დღეს, დილიდანვე, იჯუდან იაპონელებმა საოცრად მედგრად და ცხარედ დაუშინეს ზარბაზნები მთელ ტიურენჩენის პოზიციას. იაპონელებმა 2,000 ყუმბარაზე მეტი გაისროლეს. ვგრძნობდით, რომ ასეთ ცხარე სროლის შემდეგ მტერი იერიშს მოიტანდა. 18 აპრილს, ღამე, ბრძანება მივიღე გენერალ ზასულიჩისა, დავრჩენილიყავ ძველ პოზიციაზე და შევბრძოლებოდი მტერს. ჩემის ჯარის მარცხენა ფრთაზე, პოტეტნძესთან, მდინარის ფონებს იცავდნენ მე-22 პოლკის ორი ბატალიონი და მე-6 ბრიგადის მესამე ბატარეია. იაპონელებმა იერიში დაიწყეს დილის 5 საათზე, ამასთან მდინარე აიხეს ფონებზე გაუშვეს ქვეითა ჯარის მთელ დივიზიაზე არა ნაკლები. დივიზია მდინარეში გამოდიოდა კოლონებად გაყოფილი. დიდის ზარალის შემდეგ დივიზია გავიდა ფონებს და იერიშით მოესია ჩვენ პოზიციას. ამავე პოზიციას იაპონელების 36 ველის ბატარეია და საალყო ზარბაზნები იჯუდან ესროდნენ ყუმბარებს. მე-12 პოლკმა დაიჭირა უკანა პოზიცია. ამ პოლკს ეხმარებოდა მე-6 ბრიგადის მე-2 ბატარეია და ტყვიის მსროლელ ზარბაზნების როტა. ჩვენის ყუმბარების მეოხებით იაპონელნი წინ ველარ წამოვიდნენ. შუადღისას გავიგე, რომ იაპონელებმა განდევნეს მე-22 პოლკის ბატალიონი, რომელიც ჩინგოუსთან იდგა, და გარს უვლიან ჩემს მემარცხენე ფრთეს. ნაშუადღევის პირველ საათზე ჩემ მემარცხენე ჯარს მიეშველა მე-11 პოლკის ორი ბატალიონი და ბატარეია პოდპოლკოვნიკის მურავსკის უფროსობით. ეს მაშველი ჯარი მოვიდა შახეძედან, სადაც ჩვენი რეზერვი იდგა. მე-11 პოლკს ვუბრძანე, დაეჭირა უკანა მაღალი პოზიცია და ისე დამდგარიყო, რომ მტრის მოგერება ორის მხრიდან შესძლებოდა; პოდპოლკოვნიკს მურავსკის ვუბრძანე უკან, რეზერვთან, დაბრუნებულიყო, ხოლო მე-12 პოლკს, მესამე ბატარეიასა და ტყვიის მსროლელ ზარბაზნებს შევუთვალე, მე-11 პოლკის დახმარებით უკან-უკან დაწეულიყვნენ. უკანა ჯარის ნაწილები პოზიციაზე გაიყვანა ჩემის შტაბის უფროსმა. ნაშუადღევის პირველ საათისთვის იაპონელებმა ახლო მოიწიეს მე-11 პოლკის პოზიციისკენ, ასე რომ მესამე ბატარეიამ ვეღარ შესძლო გზაში გასვლა და რეზერვთან დაბრუნება. ამ გზას მტერმა ჯვარედინი ცეცხლი დაუშინა. მესამე ბატარეია დადგა პოზიციაზე იაპონელთა მახლობლად და დარჩა იქ ბრძოლის ბოლომდე. მოჰკლეს ბატარეის უფროსი პოდპოლკოვნიკი მურავსკი. იმ პოზიციიდან, სადაც უკანა ჯარი იდგა, პირველად გადაიყვანეს ტყვიის მსროლელი ზარბაზნების როტა, რომლის უფროსმა, როცა შეამჩნია, რომ პოდპოლკოვნიკ მურავსკის ბატარეია გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავარდა, საკუთარის თაოსნობით დაიჭირა პოზიცია, დაჰკარგა თავის რაზმის ნახევარი და ყველა ცხენი. როტის უფროსი სცდილობდა სალდათების შეშველობით გადაეტანა ბატარეია სერ-სერ. ამ დროს იმას მტერი ყოველ მხრიდან ყუმბარებს ესროდა. ტყვიის მსროლელმა ზარბაზნებმა 35,000-მდე ტყვია გაისროლეს. მე-12 პოლკის ნაწილებმა გაარღვიეს მტრის რაზმები და გაიტანეს დროშა. მე-6 ბრიგადის მე-2 ბატარეია ეცადა სხვა გზით მისულიყო რეზერვთან, მაგრამ ვერ ავიდა მთეზე, ცხენების რიცხვის ნახევარი დაეხოცა, ამიტომ ისევ ძველ პოზიციაზე დაბრუნდა და მე-11 პოლკს დაეხმარა იერიშის მიტანის დროს. მე-11 პოლკმა კიდევ ორი საათი გასძლო პოზიციაზე, შემდეგ შტიკებით გაარღვია მტრის რაზმები, გადაიარა ულელ-ტეხილი, ბევრი ხალხი დაეხოცა და გაიტანა დროშა. დაიღუპა მე-11 პოლკის უფროსი პოლკოვნიკი ლაიმინგი. ჩვენი ზარალია—ორ-ათასამდე ჯარის კაცი და 40-მდე აფიცერი. იაპონელთა ზარალი ძრიელ დიდი უნდა იყოს. დივიზიამ, წესიერად დარაზმულმა, ფინხუანჩენისაკენ დაიწია. მე-3 დივიზიის ჯარი სულით არ დაცემულა; ამ დივიზიამ 700 დაჭრილ კაცით ფინხუანჩენამდე მოაღწია.“

პორტ-არტური. რადგან მეკითხებიან, რათ ეწინააღმდეგება ერთმანეთს ოფიციალური და კერძო ცნობებიო, გაუწყებთ, რომ,

დამსწრეთა სიტყვით, დაღუპულია იაპონელთა 10 ბრანდერი, ოფიციალურის ცნობებით კი 8.

(ღამის დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

ომის ამბები. „ტაიმს“-ის პეტერბურგელი კორესპონდენტი იუწყება: 10 აპრილს რუსებს მდ. იალუზე 40 ათასი ჯარის კაცი ჰყავთ, დაგუშანში 20 ათასი. მდ. ტუმენზეც, რუსეთ-კორეის საზღვრიდან მოკიდებული ვიდრე ტაჩეის ტბამდე ყაზახების რაზმები და არტილერიის ბატარეები უდგათ. რუსებს ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ კორეიაში, სხვათა შორის, ქალაქები კაოლინი. მუზანი და ზუნდუიანი უჭირავთ.

„დეილი ექსპრეს“-ი მაინც ამტკიცებს, 12 აპრილს იაპონელებმა ინკოუს ზარბაზანი დაუშინესო.

„ფრანკფურტერ ცაიტუნგ“-ს შეუტყვია, ჩაძირულ სატრანსპორტო გემ „კენშიომარუ“-ს კუნძულ სახალინზე მიჰყავდა ჯარის კაცებიო. იაპონელები სულ 4 საათს კაცის გაგზავნას აპირობენ სახალინის დასაჭერადაო. („რ. ლ.“).

„დეილი მეილ“-ი იუწყება: რუსებმა მანჯურიიდან იალუს სათავისაკენ გენერალ რენენკამფის უფროსობით ყაზახთა დივიზია გაგზავნეს. ვლადივოსტოკის მხრიდან წამოსული ყაზახების რაზმიც ამ დივიზიას შეუერთდება და მერე ორივე ეს რაზმი—სულ 20 ათასი კაცი—გენერალ კუროკის მარჯვენა ფრთას დაეცემა. გენერალ რენენკამფის ჯარი სუმბუქი სამთო ზარბაზნებითაა შეიარაღებული და თუ მართლა იაპონიის ჯარს ფრთიდან დაეცა, სწორედ საქმეს გაუჭირვებს. მაგრამ, ალბად, იაპონელებმაც იციან ეს ამბავი და გენერალ რენენკამფის წინააღმდეგ ჯარს გაჰგზავნიანო. („რ. ლ.“).

თუ გერმანულ გაზ. „დანცერ არმეე-ცაიტუნგ“-ის სამხედრო თანამშრომელს დავუჯერებთ, იაპონიის მე-2 არმია გენერალ ოკუს უფროსობით კორეის დასავლეთ ნაპირზე გადავიდა ხმელთზე და იქიდან ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ კორეისაკენ წავიდა, რომ ჩრდილოეთიდან წამოსული რუსის ჯარი უკან გააბრუნოს. ბოლოს გენერალი ოკუ ხარბინისაკენ გაილაშქრებს და რუსებს ჩრდილოეთისაკენ მიმავალ გზებს შეუკრავს. („მ. ვ.“).

ვლადივოსტოკის ესკადრის დაცემას სატრანსპორტო გემებზე „ტაიმს“-ი არაფრად არ აგდებს. გაზეთი ამბობს: იაპონიის ესკადრა მალე დაეცემა ვლადივოსტოკს და კონტრ-ადმირალ იესენს ზღვაში გამოსვლის ხალისს სამუდამოდ დაუკარგავს. იაპონიას ბლომად აქვს სატრანსპორტო გემები, ამიტომ სამის სატრანსპორტო გემის დაღუპვა დიდ ზარალს არ მოუტანს იაპონელებსაო. („რ. ლ.“).

„სტანდარდ“-ს დეპეშით ატყობინებენ ტოკიოდან: „კენშიომარუ“-ს დაღუპვის ამბავმა იაპონიის ხალხი დაალონა, მაგრამ აღელვებით კი არავინ აუღელვებიაო.

ფრანგულ ჟურნალ „რევიუ დე პარი“-ში ერთი ფრანგი ლეიტენანტი სწერს: ვლადივოსტოკში რუსებს 160 ზარბაზანი უდგათ 100 ექვს-თერთმეტი დიუმიანი ზარბაზანია, 60 პატარაო. („რ. ვ.“).

„სტანდარდ“-ს ატყობინებენ ტოკიოდან: ინგლისიდან და ამერიკიდან აქ მოწყალების დანი მოვიდნენ დაჭრილ მეომრების მოსავლელად. იაპონელები დიდის თანაგრძნობითა და პატივისცემით მიეგებნენ ამ ქალებს. იაპონიის უმაღლეს წრეების ქალებმა ნადიმი გაუმართეს. ნადიმის დროს განათლებულმა პედაგოგმა, ინგლისელმა ქალმა ადამ სიტყვა წარმოსთქვა და, სხვათა შორის, სთქვა: დასავლეთისა და აღმოსავლეთის კავშირი უფრო გამაგრდება, როცა დასავლეთისა და აღმოსავლეთის ქალები, ხელი-ხელ ჩართულნი, მოწყალების საქმეს დაუწყებენ სამსახურს და სნეულთა და დაჭრილთ ტანჯვას შეუმსუბუქებენო. („რ. ვ.“).

„დეილი მეილ“-ი იუწყება: რუსეთმა 70 ათასი ტონა ქვა-ნახშირი იყიდა ინგლისში ბალტიის ესკადრისათვისაო. ამ ნახშირის წასაღებად რუსეთმა დიდი სატრანსპორტო გემები დაიქირავა ერთს მეგემეთა საზოგადოებისაგან და ხმელთა შუა ზღვაში გაგზავნა. ბალტიისა და ჩრდილოეთის ზღვაშიაც პატარა სატრანსპორტო გემები დაამზადა. ეს გემები ბალტიის ესკადრას გაჰყვებიან შორეულ-აღმოსავლეთში. ამას გარდა, რუსეთის სამხედრო აგენტმა ლონდონში კიდევ ოცამდე გემი დაიქირავა ინგლისელებისა, გერმანელებისა, ამერიკელებისა და ნორვეგიელებისაგან. ამ გემებზეც ქვა-ნახშირს დაუდებენ და ვითომ ერთის გერმანელ ფირმის სახელობაზე, რასაკვირველია, ფირმის თანხმობით, ჩინეთის ნეიტრალურ ნავთ-სადგურში გაჰგზავნიან და მერე იქიდან, თუ მოახერხეს, პორტ-არტურსა და ვლადივოსტოკში მიუტანენ რუსებს. („პ. ვ.“).

„ტაიმს“-ს ატყობინებენ ტოკიოდან: იაპონელები თან-და-თან უფრო რწმუნდებიან, რომ გერმანია უფრო რუსეთის მხარეს იჭერსო. ერთი გავლენიანი იაპონური გაზეთი სწერს, გერმანიის მთავრობამ პირველში მტკიცე ნეიტრალიტეტის დაცვა დააპირა, ეხლა-კი რუსეთის მხარეს იჭერს. მაგრამ არა გვგონია, რომ გერმანიის ხალხს თავის მთავრობის პოლიტიკა ჰკუაში მოსდიოდესო. („რ.“).

ჩინეთის საელჩოს მდივანს პარიზში უთქვამს „მატენ“-ის კორესპონდენტისათვის: ჩინეთის მთავრობა მტკიცედ აპირობს ნეიტრალიტეტის დაცვას, ჩვენი ხალხი-კი აშკარად თანაუგრძნობს იაპონელებსაო. („რ. ლ.“).

იაპონელები კორეიაში. ბელგიურ გაზ. „ინდეპ. ბელჟ“-ის კორესპონდენტი იუწყება სეულიდან: იაპონელები ყოველ ღონისძიებას ხმარობენ, რომ კორეის ეკონომიური მდგომარეობა გააუმჯობესონ. ანჩჟუში ბანკის განყოფილება გახსნეს. ამას გარდა, იაპონელი კაპიტალისტები კორეიაში დიდის ბანკის დაარსებას აპირობენ; ეს ბანკი რუსეთ-ჩინეთის ბანკს კონკურენციას გაუწევს და კორეიაში მრეწველობის განვითარებას ხელს შეუწყობს. იაპონელები ამბობენ, აქამდე კორეიაში უპატიოსნო ადმინისტრაცია ბატონობდა და ბანკების დაარსება შეუძლებელი იყოო. იაპონელი სპეციალისტი-აგრონომი ხაგამორაც აპირობს ბანკის დაარსებას. ხაგამორი კორეის ხელ-უხლებელ, ყამირ მიწების შემუშავებას აპირობს. იაპონელებმა აგრონომი გაგზავნეს ანჩჟუს ოლქში, რომ კორეელ გლეხ-კაცებს თესლი დაურიგოს ბრინჯის დასათესად, რადგან რუსებმა უკან დახევის დროს, რაც გლეხებს ბრინჯი ჰქონდათ, სულ თან წაიღეს. კორეის ადმინისტრაციამ ეხლა სტატისტიკური ცნობები გამოაცხადა; ამ ცნობებიდან სჩანს, რომ კორეის ვაჭრობას შედარებით წარსულ წლებთან წელს უმატნია და წარსულ სამ თვეში კორეიდან მეტი საქონელი გაუტანიათ გარედ, ვიდრე კვლავ გაუტანიათ ხოლმე. („პ. ვ.“).

საუბარი ჩინელ პრინცთან. დანიურ გაზ. „ბ. ტიდენდე“-ს სამხედრო კორესპონდენტს შანჰაიში ჩინეთის იმპერატორის ნათესავი პრინცი პულუნი უნახავს და ჩინეთის ეხლანდელ მდგომარეობაზე ულაპარაკნია. პრინცს უთქვამს: მალე ამერიკის მსოფლიო გამოფენაზე ვაპირობ წასვლას; მინდა გამოფენის სამრეწველო განყოფილება შევისწავლო რიგზე. ჩინეთს გულით სწადიან სხვა სახელმწიფოებთან ალებ-მიცემობა. ეხლა ჩვენი ქვეყანა მხნედ იქცევა და, იმედი მაქვს, მალე თავის ბუნებით სიმდიდრის შემუშავებას ბეჯითად შეუდგება. ეხლა ყველგან სატეხნიკო და სპეციალურ სკოლებსა ვხსნით, სულ მოკლე ხანში ყველგან რკინის გზებს გავიყვანთ და მადნების შემუშავებას რიგზე შევუდგებითო.

კორესპონდენტს უკითხავს: ჩინეთის მაღალი წრეები დღემდე ცუდის თვალით უცქერიან ევროპიელებსა და ამერიკელებს, თუ არაო. პრინცს უპასუხნია:

ჩვენი ხალხი არავის არ უცქერის მტრულად. „ყვითელი საფრთხე“ და „თეთრი საფრთხე“ ლაპარაკად არა ჰღირს. ყველა განათლებულ ხალხის სარწმუნოება—მშვიდობიანი სარწმუნოებაა. ყველანი ომის მოსპობას უნდა ვცდილობდეთო. („პ. ვ.“).

ახალი ამბავი

◆ უმაღლესმა მთავრობამ დაამტკიცა და კავკასიის სამკურნალო ნაწილმაც მიიღო პროექტი ამიერ-კავკასიაში **სახოფლო მკურნალობის საქმის** გადაკეთების შესახებ. ეს პროექტი მდგომარე წლიდან დაწყებული თან-და-თან უნდა განხორციელდეს. არ[illegible]ბული ქსენონები (пріемные покои) მთე[illegible] ამიერ-კავკასიაში უნდა გადაკეთდეს საავადმყოფოებად, ხოლო ყარსისა და დაღესტნის ოლქებში უნდა ახლებიც დაარსდეს. ამ საავადმყოფოებში მკურნალობა უსასყიდლო იქნება. დაარსდება აგრეთვე საფერშლო პუნკტები. აფთიაქები იქნება როგორც საავადმყოფოებთან, ისე საფერშლო პუნკტებთან. ამ საქმეს 1904, 1905 და 1906 წელს სულ დასჭირდება 400,000 მანეთი. შემდეგ სამ წელს (1907 წლიდან დაწყებული) საავადმყოფოების საბოლოოდ მოსაწყობად და მკურნალ-ფერშლების შესანახად გადაიდება 587, 300 მანეთი წელიწადში. ამას გარდა წამლების შესაძენად პირველ სამ წელს გადაიდება 42,000 მანეთი, ხოლო მერე სამ წელს 84,000 მანეთი წელიწადში.

◆ ამას წინად ტფილისის ქალაქის გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა ფოსტა-ტელეგრაფის მთავარ-გამგეობის წინაშე იმის შესახებ, რომ **ტელეფონის** მართვა-გამგეობის საქმე ქალაქს გადასცემოდა. როგორც გუშინ ქალაქს მოუვიდა ცნობა, ფოსტა-ტელეგრაფის მთავარ-გამგეობას შუამდგომლობა არ შეუწყნარებია.

◆ შაბათს, 24 აპრილს, საღამოს 8 საათზე მოხდება წლიური საზოგადო კრება კავკასიის **საექიმო საზოგადოების** წევრთა. კრების პროგრამა: ა) თავმჯდომარის სიტყვა; ბ) საზოგადოების მდივნისა, ხაზინადრისა და ბიბლიოთეკის გამგის ანგარიშები; აგრეთვე იაფ-ფასიან წიგნაკებისა და ფურცლის გამომცემელ სარედაქციო კომისიის ანგარიში; გ) ე. პ. ჯუნკოვსკის მოხსენება: „ტროპიკული პიროპლაზმოსი ანუ აფრიკის ნაპირების ციებ-ცხელება“; დ) ა. ა. მუხარინსკის მოხსენება: „ახალი გამოკვლევა მეჩნიკოვისა და რუს სიფილისის შესახებ“.

◆ როგორც აღნიშნული გვქონდა, ტფილისის ქალაქის გამგეობამ **საელექტრონო სადგურის** ასაგებად ამოარჩია ვანქის ტაძრის გვერდით პაპკოვის ადგილი. რადგან ეს ადგილი უვარგისად უცვნიათ, გუშინ ხმოსნებმა სტ. თ. ჭრელაშვილმა, სურენიანცმა და ევანგულოვმა მოხსენება შეიტანეს საბჭოში წარსადგენად. ხმოსნები საუკეთესო ადგილად სადგურისათვის სცნობენ ძმათა მაკაროვების ადგილს, ვერის ხიდის გვერდით სატივოზე. როგორც ხმოსნები აცხადებენ, მაკაროვები თანახმანი არიან ადგილი გაჰყიდონ 80,000 მან. ამას გარდა უნდა გადაიდოს 100,000

ფელეტონი

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება

25 წლის განმავლობაში (1979—1904)

II. საზოგადოების სკოლები*)

თავის არსებობის 25 წლის განმავლობაში „საზოგადოება“ აარსებდა სკოლებს და ბიბლიოთეკა-სამკითხველოებს, სცემდა და ავრცელებდა სახელმძღვანელო თუ სხვა საკითხავ წიგნებს, ეხმარებოდა წიგნებით, ნივთებით და ფულით სხვის მიერ დაარსებულ სკოლებსა და ბიბლიოთეკებს და აგრეთვე კერძო პირებსაც, აგროვებდა ძველს ქართულს ხელთნაწერებს, წიგნებს და ნივთებს. დღეს საზოგადოების ხელშია 9 სკოლა, 11 ბიბლიოთეკა-სამკითხველო, 1 ბიბლიოთეკა-მუზეუმი და საკუთარი წიგნის მაღაზია და საწყობი.

1. პირველი სკოლა საზოგადოებისა არის „ქუთაისის სათავად-აზნაურო სასწავლებელი“. ამ სკოლის გამართვის მეთაურობა ეკუთვნის ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობას. ქუთაისის სათ.-აზნაურო ბანკის წევრთა საზოგადო კრებამ დაადგინა 1879 წ. 28 აპრილის სხდომაზე მოსამზადებელის სკოლის დაარსება ქუთაისში, გადადვა ამ საქმის მოსაწყობად 8000 მანეთი და ამასთანავე მიანდო ზედამხედველ კომიტეტს, თხოვეთ ახლად დაარსებულს წერა-კითხვის საზოგადოებას, მიიღოს თავის თავზე სკოლის გამართვა და გამგებლობაო. ბანკის წევრთა კრება თხოულობდა აგრეთვე, რომ სკოლაში მიღებული ყოფილიყვნენ შვილები იმ თავად-აზნაურთა, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს ბანკის დაარსებაში და შვილები იმ თავად-აზნაურთა, რომელთაც მონაწილეობა არ მიუღიათ ბანკის დაარსებაში მხოლოდ იმიტომ, რომ ყმები არ ჰყავდათ**) და სკოლაში უნდა მიეღოთ ყოველის მაზრიდან ბავშვები იმის მიხედვით, თუ რამდენი დამაარსებელი ითვლებოდა მაზრაში. საზოგადოების გამგეობა სიხარულით მიეგება ბანკის წევრთა სურვილს, იკისრა სკოლის დაარსება და მართვა და აუწყა ზედამხედველს კომიტეტს, რომ სკოლის გამგეობა სრულიად მონდობილი უნდა ჰქონდეს საზოგადოებას, რომ საზოგადოება დაიცავს ბანკის დამფუძნებელთა ინტერესებს, მაგრამ თუ შესაძლებელი იქნება, სხვა წოდების შვილებსაც არ დაუხშობს სკოლის კარებს, რომ საზოგადოება იყოლიებს ადგილობრივ სამზრუნველოს, რომელიც იქნება ახლობელი მეთვალყურე სკოლის საქმეებისა.

საზოგადოების გამგეობა შეუდგა სკოლის მოწყობას; დაუყოვნებლივ ამოირჩია საქმის დასაჩქარებლად ადგილობრივი სამზრუნველო (ანნა ბ. მუსხელიშვილისა, ელენე დ. ლორთქიფანიძისა, ალექს. ივ. ფიფინაშვილი, სიმონ ბ. ღოღობერიძე, ანტონ ნ. ლორთქიფანიძე, ნიკოლოზ დ. ყიფიანი და კირილე ბ. ლორთქიფანიძე) და 27 ნოემბერს გაუგზავნა დირექციას თხოვნა სკოლის ნებართვისათვის. სკოლა უნდა ყოფილიყო ოთხ განყოფილებიანი და სასწავლო საგნები იქნებოდა: ქართული, რუსული, საღვთო რჯული, არითმეტიკა, თვალსაჩინო სწავლა, სამშობლოს აღწერა, წერა, ხატვა, გალობა და გიმნასტიკა. სკოლის გამგედ წარდგენილ იქმნა ალექსი ბ. ქიქინაძე, რომელიც იყო სკოლის ინსპექტორად 1886 წ. სექტემბრამდის. სკოლის გახსნის ნება-რთვა მოვიდა 22 იანვარს 1880 წ. და 3 თებერვალს სკოლა უკვე გაიხსნა. სკოლა ორის განყოფილებისაგან შესდგებოდა თავში, სკოლაში შესვლის სურვილი განაცხადა 160 ბავშვმა, მაგრამ უადგილობისა გამო მიღებულ იქმნა მხოლოდ 75 (მერე მიემატა კიდევ ერთი). ყველაზე მეტი მოსწავლე მიღებულ იქნა ქუთაისის მაზრიდან (29), ყველაზე ნაკლები—ოზურგეთის მაზრიდან (2). სწავლება სკოლაში სწარმოებდა თანახმად „საზოგადოების“ წესდების მესამე მუხლისა. გაკვეთილები განაწილებული იყო ასე: ქართული ენა—პირველ განყოფ. 4 გაკვ., მეორეში—3, რუსული—მეორეში (პირველში სრულებით არ იყო) 7, თვალსაჩინო სწავლა—სამ-სამი გაკვ., არითმეტიკა პირველში—4, მეორეში—3, საღვთო სჯული ორ-ორი გაკვეთილი და სხვა.—პირველი წლის განმავლობაში პირველ განყოფილებაში იყო 40 და მეორეში 36 მოსწავლე. სკოლას ჰყავდა 4 მასწავლებელი და მის შესანახად 1 მაისამდის დაიხარჯა 4002 მან. 48 კ.

შემდეგის სამოსწავლო წლიდან გაიხსნა სკოლის მესამე და მეოთხე განყოფილება, ამასთანავე შეცვლილ იქნა გაკვეთილების განაწილება: ქართულს დაეთმო 1 განყოფილებაში—6 გაკვეთილი, მეორეში—4, მესამეში—6 და მეოთხეში 4; რუსულს—მეორე გან. 6 გაკვ., მესამეში—8 და მეოთხეში—9, და სხ. 1881—82 წელს გაიხსნა პარალელური კლასები. სკოლაში შესვლის მსურველი მრავალი იყო და ბევრი რჩებოდა სკოლის გარედ. სკოლის საქმე თავიდანვე კარგად იქნა დაყენებული, ინსპექტორი მეტად ბეჯითად და სიყვარულით აწარმოებდა საქმეებს. ყოველ წელიწადს ვრცელს, მრავალის შენიშვნებით და საინტერესო დაკვირვებით სავსე ანგარიშებს ურდგენდა საზოგადოების გამგეობას. გამგეობის წინადადებით ინსპექტორმა შეიმუშავა ვრცელი პროგრამები სასწავლო საგნებისათვის, რომლებიც განიხილა და შეავსო გამგეობამ. გამგეობამ განსაზღვრა აგრეთვე გარკვევით ინსპექტორის და ადგილობრივის სამზრუნველოს მოვალეობანი. როგორც ინსპექტორმა, ისე საზოგადოების გამგეობამ სკოლის არსებობის პირველ წლებიდანვე მიაქცია ყურადღება ერთს დიდ მნიშვნელობიან გარემოებას: მოსწავლე ბავშვების მეტის-მეტს სიღარიბეს, რაიც აბრკოლებდა მათ მეცადინეობას და სკოლაში სიარულს. „როგორც ამოჩნდა ჩემგან შეკრებილის ცნობებიდან“, სწერდა ინსპექტ

---

*) „ცნ. ფურც.“ № 2459.

**) ბატონყმობის მოსპობისა გამო მთავრობამ აჩუქა ტფილისის გუბ. მებატონეთ და ამის მიხედვით მერე ქუთ. გუბ. მებატონეებსაც გლეხის თითო სულზე 25 მან.—ნაწილი ამ ფულებისა მიახმარეს ბანკების დაარსებას.

ნ. ადგილის შესაკეთებლად, მტკვრის პი- ად ქვის კედლის ამოსაყვანად. ამის შემ- ეს ადგილი 700,000 მანეთამდე ეღირე- და შეიძლება ნაჭრებად დაიყოს და არით გაიცეს.

◆ კარგა ხანია ტფილისის ქალაქის გამ- ეობა მუშაობს **თვით-მმართველობის და- სებულებათა** მოხელეების ახალ შტატების ადგენად და გამგეობასთან საკონტროლო ყოფილების დასაარსებლად. ქალაქის მდივა- ბ-ნმა ჭრელაშვილმა მთელ მასალას ამ საკი- ხის შესახებ უკვე თავი მოუყარა და მოხსენებაც დგინა. ამ მოხსენების განსახილველად მგეობას განსაკუთრებული სხდომა ექნება.

◆ ინჟენერი მეცი დასთანხმდა ტფილისის ლაქის გამგეობის წინადადებას, იკისროს მოკვლევა და ხარჯთ-აღრიცხვის შედგენა ლის **წყაროებიდან** მილის გამოსაყვანად. მგეობამ დაადგინა, გაუგზავნოს ინჟენერს ცს 1000 მან. ტფილისში ჩამოსასვლელად.

◆ ტფილისის **ქალაქის მოურავის თავ. რღუთინსკი-დოლგორუკის** ავადმყოფობისა მო იმის თანამდებობის აღსრულებას 22 პრილიდან შეუდგა მისი მოადგილე თავ. ნ. ჩერქეზიშვილი.

◆ გუშინ, 22 აპრილს, ტფილისში უე- რად გარდაიცვალა „საარტისტო საზოგა- ების“ დაარსების ერთი ინიციატორი **ის. ფითოევი.**

◆ **საქართველოს ეგზარხოსი** პირველ ის მიემგზავრება რუსის სოფელ ოლგინ- აში (ტფილისის მაზრა) ახლად აგებულ ესიის საკურთხევლად.

◆ ტფილისის **წმ. ნინოს დედათა სასწა- ვლებელში** მისაღები ეგზამენები მოსამზადე- ბელ და პირველ სამ კლასში შემსვლელთათვის ება 1-დან 14 მაისამდე, ხოლო უფროსს ლასში შემსვლელთათვის—14-დან მაისის დამლევამდე.

◆ ტფილისის ქალაქის სამხედრო საკრე- ბულო ამ ჟამად ადგენს სიებს იმ ყმაწვილ- კაცებისას, რომელნიც 1904 წელს უნდა ნენ გაწვეულნი კენჭის ამოსაღებად და რომელთაც შეღავათი მიეცემათ ოჯახურ მდგომარეობით.

◆ **დიდ თონეთის** გლეხებმა სთხოვეს მაზრის უფროსს დააჩქარონ იმ ფულის და- რიგება, რომელიც გლეხებს ერგებათ 1903 წელს ჭირიან საქონლის დახოცვისათვის.

◆ გორის მაზრის უფროსის ცნობებიდან ჩანს, ბორჯომის სასოფლო საზოგადოებას (1074 კომლი) **სამეურნეო თანხა** ჰქონია 5761 მან. და 27 კ., ძეგვრისხევისას (3809 კომლი) 55,178 მან., სურამისას (6108 კომლი) 84,486 მან., ხიდისთავისას (5624 კომლი) 55488 მან. და 74 კ., ცხინვალისას (3241 კომლი) 55977 მან. და 5 კაპ. მთელ მაზრაში, სადაც 19857 კომლი მცხოვრები ითვლება და 443 სოფლის საზოგადოება, 85 პურის მაღაზია ყოფილა და სამეურნეო თანხა 255,891 მანეთს უდრის.

◆ ამერ-იმერეთის სამრევლო სკოლების **საეპარქიო ზედამხედველების** კრება, რომელიც საოლქო საბჭოსთან დაიწყო 20 აპრილს, ერთს კვირას გასტანს.

◆ „**ქ. შ. წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების**“ ტფილისში არსებულ ორის სახალხო სამკითხველოს გამგემ ქ-ნმა ა. მ. წერეთლისამ სთხოვა გუშინ ქალაქის გამგეობას, წასულ წლებსავით 1905 წელსაც შემწეობა აღმოუჩინოს სამკითხველოებს.

◆ ტფილისის სავაჭრო სამეურნეო პოლიციის აგენტი ტერ-მარკოზიანცი გუშინ, 22 აპრილს, დილის 9 საათზედ მუხრანის ბორანზე დამჯდარა მეორე ნაპირზე გადასასვლელად. როცა ბორანი შუა მტკვრამდი მისულა, მარკოზიანცი მტკვარში გადამხტარა. დესიმონოვის მოედნიდან ნავები ჩააშველეს და ცოცხალი გამოიყვანეს. ტერ-მარკოზიანცი მიხეილის სამკურნალოში გაჰგზავნეს.

◆ ტფილისის სახელოსნო სასწავლებლის სამეურნეო კომიტეტმა აცნობა გუშინ გამგეობას, მოვალეები გვაწუხებენ და საიდან გადავიხადოთ 1844 მანეთი ვალიო.

◆ ტფილისის მოქალაქეთა დეპუტატების კრება გადაიდო 27 აპრილისათვის.

რუსეთის ქრონიკა

◆ „სევ. ზაპ. სლ.“ იუწყება, რომ ქ. ვილნოში და მახლობელსოფლებში სხვა-და-სხვა ნაირი ხმები ვრცელდება და აღელვებს ხალხსაო. ამის გამო ვილნოს გუბერნატორს პოლიციისათვის ბძრანება მიუცია, სასტიკად თვალ-ყური ადევნოს იმ პირთ, რომელნიც ხმებს ავრცელებენ, რათა ხელში ჩაიგდონ, სამართალში მისცენ და აგრეთვე ადმინისტრატიულის წესით დასაჯონ ისინი.

◆ რუსეთის ქარხნებში წესად არის შემოღებული შემდეგი ჩვეულება. მუშებს, რომლებიც ქარხნიდან გადიან მუშაობის შემდეგ, კარებში აჩერებენ მექარხნეთა მსახურნი და ჯიბეებსა და უბეს უშინჯავენ მოპარულ ნივთების აღმოსაჩენად. „ტორგ. პრომ. გაზ.“-ის ცნობით, ზოგიერთ ქარხნების გამგეთ შეუგნიათ, თუ რამდენად სასირცხვოა ეს ჩვეულება და გაუუქმებიათ იგი. ამ მხრივ მაგალითი ცინდელის რეზინის მანუფაქტურის ამხანაგობას უჩვენებია: მოუსპია ეს ჩვეულება და შემდეგის განცხადებით მიუმართავს მუშებისათვის: სრულიად თანახმანი ვართ, რომ ჩვენ ქარხნებში არსებული წესი შეურაცხჰყოფს მუშების ზნეობრივ გრძნობას, ამიტომ განკარგულება მოვახდინეთ ამ წესის მოსასპობლად და სრული იმედი გვაქვს, რომ მუშები ღირსეულად დააფასებენ ამ ჩვენს განკარგულებას, რომელიც ამტკიცებს, თუ რა ნდობით ვუცქერით ჩვენ პატიოსან მუშაკთა უმრავლესობას. აგრეთვე იმედი გვაქვს, რომ მუშები თვითონ გაუწევენ დახმარებას ქარხნების გამგეობას ქურდობის მოსპობის საქმეში. ზნეობა-დაცემულნი ყველგან მოიძებნებიან. უეჭველია, მუშათა შორისაც გამოჩნდებიან ამგვარი პირნი, ამიტომ გამგეობა მიმართავს თხოვნით მუშებს, ზნეობრივი გავლენა მოიპოვონ თავის ზნე-დაცემულ ამხანაგებზე, რათა ბოროტ-მოქმედება მოაშლევინონ.

წერილები

ხონი. დღეს დაბა-სოფლადაც ყველა ომზე საუბრობს, ყველას აინტერესებს ომის ამბები. უკანასკნელი გლეხი, რომელიც მამა-პაპისებრ სახნის ჩაბღაუჭებია, გეკითხება ომის ამბებს, დაინტერესებულია, ვინ გაიმარჯვებს, ვინ დამარცხდება. თუ აქამდე გაზეთს ყურადღებას არ აქცევდნენ, ეხლა ყველა კითხულობს. დღეს თუ ქუჩაში გაზეთი გაშალე, უცნობი და ნაცნობი შემოგეხვევა და ყურს დაგიგდებს. წინად ხონის საფოსტო განყოფილებაში ორ გაზეთს ძლივს მოჰკრავდი თვალს, დღეს-კი სასიამოა ხონის ფოსტაში შესვლა და ფოსტის სტოლზე სავსე გაზეთების დანახვა. წინა წელს ხონის ფოსტა იღებდა ყოველ დღე ათ ცალს „ივერიას“, დღეს ორმოცამდე იღებს, იღებდა 8—9 ცალს „ნოვ. ობოზრენიეს“ დღეს 40 იღებს, იღებდა 30 ცალს „ცნობის ფურცელს“, დღეს-კი 120-მდე იღებს. ხონს დღემდე არა ჰყოლია ინტელიგენტი მამასახლისი. წინად ხონის ვეებერთელა საზოგადოებას განაგებდნენ სოფლის უსწავლელი მამასახლისები, დღეს-კი სოფლის სათავეში სოფლელებმა ჩააყენეს მამასახლისი ინტელიგენტი. ვნახოთ რას მოგვიტანს ეს ახალი მამასახლისი. გაზაფხული ჩარჩების სეზონია. ამ დროს მოდებიან ხოლმე ეს ვაჟბატონები სოფლად და მამასისხლად ჰყიდიან უვარგის საქონელს. ხშირად უვარგის აბრეშუმის თესლის ერთ კოლოფს ოთხ მანეთად ასაღებენ. ზოგიერთი ვაჟბატონები, როგორც გადმომცეს, სოფლად ასაღებენ ნაცვლად აბრეშუმის თესლისა, ბოსტნეულის თესლებს, პატარ-პატარა კოლოფებში ჩაყრილს.

ი. ბახტაძე.

—

სოფ. ქარელი (ქართლი). ჩვენს სოფელში ქურდ-ბაცაცობა ძალიან არის გახშირებული. ღამე არ გავა, რომ ქურდობა არ მოხდეს. ვნების კვირიდან თომას კვირიაკემდე რამდენიმე ქურდობა მოხდა: შინ არ ყოფნის დროს ვლადიმერ ცხვედაძეს ხუთიაქის საწყობი გაუქურდეს; წაიღეს, ხალიჩა, ფარდაგი, ფარჩის საბანი, ტანისამოსი ცხვედაძისა და რაც ოქრო ვერცხლი ებადა. ზედ აღდგომა ღამეს გასტეხეს სოსანა იკოშვილის დუქანი და, რაც ნავაჭრი ჰქონდა იმ ორი სამი დღის წინად, წაიღეს, ფულად ექვსი თუმანი და ჩაი-შაქარი. ზედ აღდგომა დღეს, დილის ათ საათზე, გასტეხეს ივანე ბუხნუკაშვილის ღვინის საწყობი და წაიღეს თვრამეტი თუმანი ფულად. რკინის გზის სადგურის საწყობი ორჯელ ზედიზედ გაძარცვეს, ერთი ხელობა მარხვაში და მეორეც აღდგომის მესამე ღამეს. წაიღეს ორი ყუთი სხვა-და-სხვა საქონელი; ძილის დროს თავიდან ააცალეს ერთ მედუქნეს თხუთმეტი თუმანი ფული; ლენტო გოჩაშვილს ღამე გაუტეხეს პურის ბეღელი და წაიღეს ათ კოდამდის პურის ხორბალი. ნიკო ხარატიშვილს მოჰპარეს ბოსლიდან ორი ძროხა. ნიკო ნადირაშვილს მოჰპარეს ცხენი და ცხენის იარაღი, მეორე ნიკო ნადირაშვილს მოჰპარეს უკანასკნელი პურის ფქვილი. სეთა როსტომოვს მოჰპარეს ძროხა, დუქნის კარებზე თოკით მიბული, სამი ფუთი ძროხის ხორცი, ერთი ცოცხალი თხა და ინდოური და ერთიც გალია სავსე ცოცხალი ქათმებით.—გიგო სულეიმანაშვილს ღამე გაუტეხეს სახლის ფანჯარა და გაიტანეს ტანისამოსი, უნდოდათ ხალიჩა-ფარდაგიც წაეღოთ, მაგრამ პატრონმა გაიგო და თოფი დაახალა. ებრაელს წიწვაშვილს და ბალიაშვილს სახლები გაუტეხეს ღამე და წაიღეს რაც კი მოასწრეს. ანტონა გონგლიაშვილს მოჰპარეს ღამე ბოსლიდან ხარი, აბრამა ფაფელაშვილი ხომ სამჯერ ზედი-ზედ აიკლეს, ასე რომ ამ ოჯახისშვილს აღარც ერთი ქვაბი არ შეანარჩუნეს; ნიკო ქიტიაშვილს მოჰპარეს ორი ცხენი და როდესაც ფული დახარჯა, ამავე ქურდებმა მოუყვანეს. გიო ჭაბუკაშვილს მოჰპარეს მინდვრიდან ძროხა. ქათამს, ბატს, ღორს, ღობეს და ბაღის მარგილებს ხომ მოსვენება არა აქვს. ამ ქურდობამ ძილი დაგვიფრთხო. ღამე ოჯახში რიგ-რიგითა გვძინავს და საათობით მოველით ღამის რაინდების მოსვლას. ეს ყოველი ნაპარავები აღმოაჩინეს ზოგი თივაში დამალული და ზოგიც სახლებში. სოფელი მოწადინებულია ღამის რაინდები, ყრილობის დადგენილებით, გადაასახლონ, მაგრამ მოთავე არავინა ჰყავს, უპატრონონი ვართ, თვითეული ჩვენგანი იმას გაიძახის, რომ თავი გამოვიდო და საჩივარი დავიწყო, გამოუშვებენ და მაშინ ვაი ჩემი ბრალიო.

ნიკო ხუცესი

—

სოფ. კორბოული (ზემო იმერეთი). ტყუილად არა ყოფილა ნათქვამი: „მარტი რომ წინ გედვას, ზამთარს ნურც აქებ და ნურც აძაგებო“. ეს თქმულება, არა მგონია, წრევანდელსავით სხვიმის ასე ნათლად ასრულებულიყოს. წლევანდელი ზამთარი სწორედ ზაფხულს მოგაგონებდა კაცს, იმისთანა უთოვლო და თბილი რამ იყო, მაგრამ დადგა მარტი და თან მოიტანა სუსხი და თოვლ-ჭყაპი. სოფლის მუშამ თუ რამის გაკეთება მოასწრო, ისევ იანვარ-თებერვალში, თორემ მარტში არა გაუკეთებია-რა. მარტმა ყოვლად უგემურად გაიარა და აპრილისაგან ველოდით პატარა გათბობას, მაგრამ ოთხ აპრილს თითქმის ნახევარი არშინი თოვლი დასდო და ცივმა ზენა-ქარმა შუა აპრილამდის გასტანა. ხალხი დიდად შეწუხებულია უამინდობით, რადგან გაზაფხულის მუშაობა უგვიანდება. სიცივესთან ერთად უსაქმებობამაც ძლიერ შეაწუხა შინაური ოთხფეხი. დიდმარხვის მეორე კვირაში აქ ერთი საცოდავობა მოხდა: გლეხის გიორგი ფოფხაძის სახლს გათენებისას გაუჩნდა ცეცხლი; თუმცა ცეცხლის გაჩენა ადრევე გაიგეს და ბევრი მშველელიც მივიდა, მაგრამ სახლს ვეღარა უშველეს-რა და სულ ერთიანად გადაიწვა, რადგან იმ დროს აღმოსავლეთის ქარი ჰქროდა და ცეცხლის გაძლიერებას ხელს უწყობდა. გადაეწვა გლეხს სარჩოც, საქონლის საკვები და ყოველი ავეჯეულობა. იმავე დღეს აღმოუჩინეს მეზობლებმა ყოველ-გვარი შემწეობა, ვისაც რითი შეეძლო. არა ერთხელ მოგვიხსენებია ჩვენი გაჭირვება მკითხველებისათვის უექიმობით. მას აქეთ, რაც საჩხერიდან ექიმი გადაიყვანეს, ჩვენი გაჭირვება აუწერელია; სამაგიეროდ მატყუარა მკითხავ-ექიმბაშებმა ფრთები აისხეს და თავისი მოქმედება ერთი ათად გააფართოვეს. ეს ვაჟბატონები თავიანთ ექიმობით ბევრს ასალმებენ წუთი სოფელს.

გ. მ.

ღამის დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

22 აპრილი

სეული. (ვოლფის სააგ.) ფინხუანჩენში რუსებმა დიდძალ ჯარს მოუყარეს თავი. იქ დიდ ბრძოლას ელიან.

დიდძალი უმეტესობა მოსწავლეთა იმდენად ღარიბია, რომ უჭირს თვეში ოთხი-ხუთი მანეთი იხადოს ბინაში, სასმელ-საჭმელში. ზოგიერს ცივი მჭადიც სანატრელი აქვს. ამნაირ მატერიალურ მდგომარეობას შეუწუხებია შაგირდები, ფიზიკურად დასუსტებულან და ადვილად ხდებიან მსხვერპლად სხვა-და-სხვა ავადმყოფობისა. ბინად დგანან ღარიბ ოჯახებში, სადაც ისინი ხშირად მოსამსახურის როლს თამაშობენ, იგზავნებიან აქეთ-იქით სხვა-და-სხვა მინდობილობით“. სკოლა შეძლებისდაგვარად დახმარებას უჩენდა ღარიბ მოწაფეებს და ბანკს საგანგებო ფულიც ჰქონდა ამისთვის დანიშნული. მაგრამ, სამწუხაროდ, ქუთაისის სათ.-აზნაურო სკოლის ღარიბი მოწაფეები დღესაც უნუგეშო მდგომარეობაში არიან და მათი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად დღეს არაფერი კეთდება.

სკოლის დაარსებიდანვე მოსალოდნელი იყო, მაგრამ სკოლის 2—3 წლის არსებობამ ცხად ჰყო, რომ საჭირო იყო აუცილებლივ პროგიმნაზიულის კლასების გახსნა. 1882 წ. ზაფხულში საზოგადოებამ განიზრახა ველი საპროგიმნაზიო კლასის გამართვა, ამ თავის წესდების ძალით მას ჰქონდა ლება მარტო პირველ დაწყებითი სასწავლებლების გახსნისა, ამიტომ უნდა დაარსებულიყო ახალი ცალკე „საზოგადოება“, ამგვარივე, როგორიც არსებობს ტფილისში (თ.-აზნაურთა საზოგადოება ღარიბ მოსწავლეთა დასახმარებლად), და ამ „საზოგადოების“ ხელში უნდა გადასულიყო მთლად ქუთაისის სკოლის მართვა-გამგეობა. მაგრამ ახალი საზოგადოების დაარსება ადვილი საქმე არ იყო; ვინ იცის, რამდენი ხანი გაივლიდა მის დამტკიცებამდის. საპროგიმნაზიო კლასის გახსნა კი დაუყოვნებლივ საჭირო იყო. საზოგადოების გამგეობამ მიიღო ეს მხედველობაში და თვითონ ითხოვა საპროგიმნაზიო კლასის გახსნის ნებართვა. თავის თხოვნაში აღნიშნა, რომ ქუთ. სათავად-აზნაურო მოსამზადებელ სასწავლებელში ბევრმა მოსწავლემ დაამთავრა სწავლა, სახელმწიფო გიმნაზიებში თავისუფალი ადგილი ცოტაა და ბევრი რჩება სრულიად სკოლის გარედო. მაშინდელმა სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა ვრცლად შეხედა საქმეს და ნება დართო საზოგადოებას, ხოლო მოსთხოვა პასუხისმგებელი პირი საპროგიმნაზიო კლასისათვის. გამგეობამაც წარუდგინა ალ. ჰიჰინაძე. 1882 წ. სექტემბრიდან გაიხსნა პირველი საპროგიმნაზიო კლასი. სწავლება წარმოებდა თანახმად მთავრობის პროგრამისა, ხოლო როგორც პირველ კლასში, ისე მერე გახსნილ საპროგიმნაზიო კლასებში საპატიო ადგილი ჰქონდა დათმობილი ქართულს ენას.

1883 წლიდან დაწყებული იხსნებოდა ყოველ წელიწადს შემდეგი საპროგიმნაზიო კლასები. 1889 წელს მოხდა საყურადღებო ცვლილება მოსამზადებელის კლასების სასწავლო პროგრამაში. სასწავლებელი დაათვალიერა სახალხო სკოლების დირექტორმა და მოხსენება წარუდგინა საოლქო მზრუნველს იმის შესახებ, რომ რუსულის ენის სწავლება მეტად ცუდად არის დაყენებული სკოლაში, საღვთო სჯულს და არითმეტიკას პირველს სამს განყოფილებაში ქართულად ასწავლიან და არა რუსულადო. ამ მოხსენებისა გამო საზოგადოების გამგეობამ მიიღო ახალი ზომები რუსულის ენის სწავლების წარმატებისათვის და, სხვათა შორის, შესცვალა წინანდელი გაკვეთილების განაწილება. რუსული ენა უკვე შემოღებული იყო პირველ განყოფილებაში (კვირაში 4 გაკვეთილი), მაგრამ ეხლა გამგეობამ გაადიდა რუსულის ენის გაკვეთილების რიცხვი: ქართულს დაუთმო I განყ. 6 გაკვეთილი, II—, III—5, IV—5, პირველ კლასში—4, II—3, III—3, IV—3; რუსულს—პირველ განყ. 6 გაკ., II—8, III—9, IV—10, პირველ კლასში—6, II—5, III—5 და IV—4. გარდა ამისა უნდა შემოღებულიყო არითმეტიკის სწავლება ქართულად და მისი განმეორება რუსულად, საღვთო რჯული უნდა ესწავლებინათ რუსულად და ქართულად.

მეოთხე განყოფილებაში ყველა საგნის სწავლება უნდა იქნეს რუსულად გარდა სამშობლოს აღწერისა, რომელიც უნდა ისწავლებოდეს ქართულად.

1903 წ. სკოლის ინსპექტორის და სამზრუნველოს მოხსენების თანახმად, საზოგადოების გამგეობამ საოლქო მზრუნველის წინაშე აღძრა შუამდგომლობა მეექვსე და მეშვიდე საგიმნაზიო კლასების გახსნის შესახებ, რადგან სკოლაში სწავლა დამთავრებულები ვერსად ვერ შოულობენ ვაკანსიას სწავლის განსაგრძობად. სამწუხაროდ, მზრუნველმა სხვანაირად შეხედა გამგეობის თხოვნას, უარი უთხრა, შენ არ გაქვს საპროგიმნაზიო კლასების გამართვის ნებაო. საქმე სახალხო განათლების მინისტრამდის მივიდა, რომელიც დაეთანხმა მზრუნველის აზრს და წინადადება მისცა ქუთაისის თავად-აზნაურობას, როგორც სკოლის დამაარსებელს და შემნახველს, ან დააარსოს ცალკე საზოგადოება სკოლის საპროგიმნაზიო და საგიმნაზიო კლასების მართვა-გამგეობისათვის, ან საერთოდ თავის სახელზე მიიღოს სკოლის საქმეები...

სკოლის მომავალი ბედი ჯერ არ გადაწყვეტილა. მაგრამ ასე მოეწყობა თუ ისე სკოლის საქმე, აუცილებლივ საჭიროა, რომ შერჩეს მას დღევანდელი ქართული სკოლის ელფერი.

ასეთია გარეგანი ისტორია ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლისა. მოვიხსენიებთ აგრეთვე, რომ სკოლის პირველი ინსპექტორი, როგორც ზევით აღვნიშნეთ, იყო ალ. ჰიჰინაძე, რომელმაც სამაგალითო მზრუნველობა გაუწია სკოლას. 1886 წელს ინსპექტორად დაინიშნა სპ. ჯორჯიკია, რომლის დროს სხვა-და-სხვა უთანხმოება ჩამოვარდა მასწავლებელთა და ინსპექტორს შორის. 1888 წ. ინსპექტორად არჩეულ იქნა ვ. ყიფიანი, რომელიც ინსპექტორობდა 1895 წლამდის. 1895—97 წ. ინსპექტორად იყო ს. ღოღობერიძე, 1897—1900 წ. წ. ალ. გარსევანიშვილი. დღეს კი სკოლას განაგებს ი. ოცხელი.

კალამი

(შემდეგი იქნება)

პორტ-არტური. 21 აპრილი (საკუთ. კორესპონდ.) საღამოს 6 საათზე მტრის ესკადრა ჰორიზონტზე დადიოდა. შესაძლებელია ახალი იერიშის მოტანა. დამატებითი ცნობებით აღმოჩნდა, რომ იერიშის დროს მონაწილეობას იღებდა 12 ბრანდერი; ნამდვილად გამოირკვა, რა ალაგს ჩაიძირა 8 ბრანდერი. ორ-ჩაძირულ ბრანდერის ადგილი ჯერ არ გამორკვეულა, ორმა-კი ჩვენ ყუმბარებს ვერ გაუძლო და უკან გაბრუნდა. შეკრებილ ცნობებიდან სჩანს, რომ თითო ბრანდერი 2,000 ტონაზე მეტს იწონიდა. მათი სახელები: „სიბატა“, „კოკურა“, „ასაგაო“, „მიკავა“, „ტოტომი“, „ფუძან“, „იედო“, „ნაგატო“, „ოტარუ“, „საგამი“, და „აიკოკუ“ და „საკურა“, რომელიც 3,000 ტონას იწონიდა“.—მიჩმანი ზაევი რჩება და ხვალ სანიტარულ მატარებლით პეტერბურგს მიდის.

ბერლინი. იაპონიის მთავრობამ „ჩრდილოეთ-გერმანიის ლოიდისაგან“ სამხედრო საჭიროებისათვის აღმოსავლეთ აზიის რეისის 8 გემი იყიდა.

22 აპრილი.

შერბურგი. შერბურგის საზღვაო პრეფექტმა 60 დღით დაპატიმრება მიუსაჯა სამინისტროს მწერალს მარტენს სამსახურის დროს გაუფრთხილებლობისათვის. ეს სასჯელი გადაუწყვიტეს მარტენს მას შემდეგ, რაც მას ჯაშუშობა ჰბრალდებოდა და სამხედრო საზღვაო სასამართლომ უარჰყო ეს ბრალდება.

ბელგრადი. გაზეთების ცნობებით, მთავრობამ გადასწყვიტა, მეფე პეტრეს გვირგვინის კურთხევა ჟიჩის მონასტერში მოხდეს 2 ივნისს, მეფედ არჩევის წლის თავზე.

კიევი. მოხდა კიევში ახალ შემდგარ „რუსკოე სობრანიეს“ განყოფილების დამფუძნებელთა კრება. განიხილეს და ხელი მოაწერეს წესდების პროექტს. უმთავრესი მიზანი: რუს-სლავიანურ ხალხთა ცხოვრების მოვლენათა შესწავლა.

მიუნხენი. მხატვარი ლენბახი ძლიერ ავად გახდა.

22 აპრილი.

პეტერბურგი. 28 აპრილს მისი უდიდებულესობა ჯარებს დაათვალიერებს.

მინსკი. დაბა სვისლოჩი (ბობრუისკის მაზრაში) სულ მთლად გადაიწვა. საჭიროა დაუყოვნებლივ შველა.

ნიუ-იორკი. პანამიდან მოსულ დეპეშის თანახმად, პანამის არხის ამერიკელმა კომისიამ ოფიციალურად ჩაიბარა არხის კუთვნილი მიდამოები და პანამის საზოგადოების ქონება.

სტამბოლი. როგორც ოსმალური გაზეთები იუწყებიან, ვილაიეტების ევროპიელმა გამგეებმა ბრძანება მიიღეს, ბულგარელ გადახვეწილთა დაბრუნებას რაც შეიძლება ხელი შეუწყოთ.

„კორესპონდენც ბიურო“ არწმუნებს: გამოვიდა ბრძანება იმ ფინანსიურ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, რომელნიც რუსეთისა და ავსტრიის ელჩებმა წარუდგინეს პორტას მაკედონიის ჟანდარმერიის მოწყობისათვის. უცხოელ აფიცერთა გაჩენამ პროვინციაში ქრისტიანე მკვიდრნი შეაშფოთა. მაჰმადიანები-კი მშვიდად არიან, თუმცა-კი პორტას მაჰმადიანთა აღშფოთების ეშინოდა.

ოსმალეთის სამი წარჩინებული პირი სმირნაში წავიდა იქ მომხდარ ამბის გამოსარკვევად. საბერძნეთის საელჩომ განიმეორა პორტას წინაშე თავის მოთხოვნილების დაკმაყოფილება. ოსმალეთის მიერ წარდგენილი წინადადება საბერძნეთმა უარჰყო.

—

შეცდომის გასწორება. გუშინდელ ნომრის დეპეშაში ლონდონიდან შეცდომით დაბეჭდილია: „იაპონელებს 798 კაცი მოუკლეს და დაუხოცესო; უნდა-კი იყოს: „....მოუკლეს და დაუჭრესო“.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

18 აპრილიდან.

ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა.

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) ნაშუადღევის 5 ს. 25 წ. (6 ს. 23 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.); 3) სამგზავრო № 6 შუადღის 11 ს. 10 წ. (12 ს. 8 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 დილის 9 ს. 10 წ. (10 ს. 8 წ.).

ბათუმს: 1) სწრაფი № 1 საღამოს 10 ს. (10 ს. 58 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 1 ს. 24 წ. (2 ს. 22 წ.); 3) სამგზავრო № 5 საღამოს 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერევანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 50 წ. (12 ს. 48 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 ნაშუადღევის 2 ს. 31 წ. (3 ს. 29 წ.).

ბორჯომს: 1) სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.); 2) სამგზავრო № 9/10 დილის 8 ს. (8 ს. 58 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს) ნაშუადღევის 2 ს. 2 წ. (3 ს.); საფოსტო № 3 ნაშუადღევის 12 ს. 37 წ. (1 ს. 35 წ.); სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 52 წ. (6 ს. 50 წ.); საქონ.-სამგზ. № 17 საღამოს 7 ს. 49 წ. (8 ს. 47 წ.).

ბათუმიდან: 1) სწრაფი № 2 დილის 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.); საფოსტო № 4 საღამოს 7 ს. 49 წ. (8 ს. 47 წ.); სამგზავრო № 6 საღამოს 10 ს. 35 წ. (11 ს. 33 წ.).

ერევან-ყარსიდან: საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 24 წ. (6 ს. 22 წ.); საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 47 წ. (4 ს. 45 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.); სამგზავრო 9/10 საღამოს 9 ს. 9 წ. (10 ს. 7 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ღამის 12 ს. 53 წ. (1 ს. 51 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 6 ს. 37 წ. (7 ს. 35 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 37 წ. (1 ს. 35 წ.); 4) საქ.-სამგზ. № 17 ღამის 1 ს. 10 წ. 2 ს. 8 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 საღამოს 9 ს. 33 წ. (10 ს. 31 წ.); 2) საფოსტო № 4 დილის 5 ს. 6 წ. (6 ს. 4 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 9 ს. 43 წ. (10 ს. 41 წ.

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) ღამის 12 ს. 25 წ. (1 ს. 23 წ.); 2) ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.); 3) დილის 8 ს. 45 წ. (9 ს. 43 წ.).

ბათუმისაკენ: 1) ღამის 4 ს. 10 წ. (5 ს. 8 წ.); 2) საღამოს 8 ს. 45 წ. (9 ს. 43 წ.); 3) ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.).

ზორაპნამდე: № 45/44 ნაშუადღევის 1 ს. 30 წ. (2 ს. 28 წ.).

განცხადებანი

—

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, [illegible], ბიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვით და წამლობით 1 მანათიდან 3-მდე.

№ 4711

ო-დე-ლი

EAU DE LYS

თეთრი, ვარდისფერი და ყვითელი;

ყველასაგან აღიარებულია საუკეთესო საპირფარეშო საშუალებად პირის დასაბანად, პირის კანის გასაახალგაზრდებლად, ჭორფლისა და მუწუკების მოსაშორებლად.

ფერდ. მიულგენსი

კელნი რეინზე და რიგა.

საქონლის დამმზადებელი მის იმპერატორებით უდიდებულესობის სასახლისათვის, (მც. 10—9)

კბილები

და მათი მოვლა-შენახვა

სამხ.-სამკ. აკადემ. პრივ.-დოც. პ. თ. ფედორო სა, თარგმ. კბილის ექ. ი. პ. ახალშენიშვილის. **ისყიდება:** „ქ. შ. წ.-კ. გამ. საზ.“ და „წიგნ. გ მომც. ქართ. ამხ.“ წიგნის მაღაზიასა და კიოსკში მთარგმნელთან (ელისაბედის ქ., № 38). ვინც ნაღ ფულად 100 ცალზე არა ნაკლებს დაიბარებს, 40% დაეთმობა. წიგნაკს დართული აქვს 7 ნახატი ფერადი), შეიცავს 124 გვ. და ღირს 40 კაპ.

(0—6.—7)

დაიბეჭდა და დაურიგდა გასასყიდად წიგნის ყველა მაღაზიას ახალი წიგნი

„მელიან თავგადასავალი“

საყმაწვილო ზღაპარი გადმოკ. ალ. ნათაძის მიერ

ფასი 25 კაპ.

საწყობი „წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში. იქვე იყიდება „ჩვენს დედებს“ ამავე ავტორის პედაგ. წერილები.

(5—უ—2)

ტელეფონი № 741 **დაარსების მიზანი** ტელეფონი № 741

სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე

ფარმაცევტთა ამხანაგობისა

იყო და არის

მხოლოდ საუკეთესო საქონლით ივაჭროს და მცირე სარგებლით კმაყოფილ იქმნე. ამხანაგობა სცდილობს ყველა საქონელი სატახტო ქალაქების ფასებში ჰყიდოს, ამატომ მყიდველთ ეთმობა 5—10 პროცენტი ტფილისის ფასებთან შედარებით. სწორედ ამ მოსაზრებით, რომ საქონელი გაიაფოს, ამხანაგობამ დაიქირავა მაღაზიები **არა გამოსაჩენ ადგილზე კავკასიის მუზეუმის პირდაპირ, „სევერნი ნომრების“ ქვეშ.**

ადრესი ფოსტისა: Тифлисъ, Товарищество Фармацевтовъ. ადრესი ტელეგრამისა: Тифлисъ, Фармацевтика.

(0-—100)



საათის საწყობი

იულიუს გენესი

ტფილისი, დვორცოვი ქუჩა

მივიღეთ მრავალი საათი—კედლისა და სტოლისა. ყოველთვის მრავლადა გვაქვს ყოველგვარი საათ ჯიბისა შვეიცარიის საუკეთესო ქარხნებისა. საწყობი ჰკი რულობს აგრეთვე საათების შეკეთებას, რაიცა სწრაფა და პირიანად სრულდება. ფასი ყველა საქონელზე ზო მიერია.

პრეის-კურანტი მოთხოვნილებისათანავე მსურველს უ სყიდლოდ ეგზავნება.

(25—6.—25)

„ცოდნა“ ქართული წიგნის მაღაზია

ტფილისი, ქვაშვეთის ქუჩა, არჯევანიძის სახლი (ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ).

იყიდება ყოველგვარი ქართული წიგნები და სკოლებში სახმარებელი სახელმძღვანელოები.

მიზანი „ცოდნის“ მაღაზიისა არის გავრცელება ხალხში და საზოგადოებაში გამოსადეგ, სასარგებლო და ყველასთვის ხელ-მისაწდომ წიგნებისა. **მსურველთ** წიგნები ეგზავნებათ ფას დადებითაც.

იყიდება დასურათებული **ღია ბარათები** ჩვენ **მწერალთა** და **მსახიობთა.** ფასი თითო 5 კაპ.

ადრესი: Тифлисъ, книжный магазинъ „ЦОДНА“.

(50—14). წიგნის მაღაზიის გამგე **სოსიკო მერკვილაძე**

ფეხსაცმელი

ს.-პეტერბურგის სამექანიკო წარმოების ამხანაგობისა,

მკვიდრი, კოხტა და მსუბუქი, ქალისა, კაცისა და ბავშვისა,

აგრეთვე მსწრაფლ-მავალები და სანდალიები. ყველა ამის შეძენა შეიძლება ტფილისსა და ამიერ-კავკასიის სხვა ქალაქების საუკეთესო მაღაზიებში.

ФАБРИЧНОЕ КЛЕЙМО

С.ПЕТЕРБУРГЪ

გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ საფაბრიკო ნიშანს

ტყავის საქონელი

რუსეთსა და საზღვარ-გარედ დამზადებული, მრავლად არის

სავაჭრო სახლის

„ლეოპოლდ ნეიშელლერ“-ის საწყობში.

ტელეფონი № 346. ერევნის მოედანი. (60—6.—3)

Доз. ценз. Тифлисъ 22 Апрѣля 1904 г ელექტრონის სტამბა, წიგნების გამომც. ქართ. ამხ—ის.). (Электропеч. Груз. Издат. Т—ва).